

**განმარტებითი ბარათი**  
**კანონპროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა**  
**კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი**

კანონპროექტის მიღება მოტივირებულია სახელმწიფოს მხრიდან სანიტარიული ნორმების ყოველგვარი დარღვევის რეაგირების სფეროში არსებული სამართლებრივი ვაკუუმით. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №297/ნ ბრძანებით დადგენილია ხმაურის, როგორც ადამიანზე ზემოქმედებისა და მისი ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი ერთ-ერთი საშუალების დასაშვები დონეები დროის სხვადასხვა მონაკვეთის მიხედვით, ასევე ხმაურის დონისა და ინტენსივობის შეფასების წესები და კრიტერიუმები. თუმცა, ამ ნორმების დარღვევისათვის არ არის განსაზღვრული სანქციები და ამავე დროს აღარ ფუნქციონირებენ სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციები. შესაბამისად, ამ სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევები რჩება სათანადო ადმინისტრირების გარეშე, რაც კომპეტენტურ ორგანოებს არ აძლევს მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის საფრთხის მიყენებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა წინააღმდეგ კანონიერი ბერკეტების გამოყენების შესაძლებლობას.

**ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი**

წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს ხმაურის დასაშვები დონის გადამეტებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებას, ასევე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში კანონმდებლის მიერ ჩადებული, თუმცა, პრაქტიკულად უმოქმედო ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ემატება 151<sup>1</sup> მუხლი (ხმაურის დასაშვები დონის გადამეტება). მუხლის დისპოზიცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სტატუსს ანიჭებს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას ხმაურის დასაშვები დონის გადამეტებას, ასევე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ხმაურის ზემოქმედების სხვა სანიტარიული წესებისა და ნორმების დარღვევას. ამასთან, დარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ჯარიმასთან ერთად, დამატებითი სახდელის სახით გათვალისწინებულია სამართალდარღვევის საგნის (ხმაურის წყაროს) კონფისკაცია. აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმებს აღგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები.

პროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვისა და პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგებლობითი ორგანოს – საკრებულოსა (239-ე მუხლის 27-ე ნაწილი) და სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების (239-ე მუხლის 4-ე ნაწილი) კომპეტენციას მიკუთვნებული ზოგიერთი ნორმის ამოღებას. კერძოდ,

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს ბიუჯეტიდან ასიგნებების გამოყოფას

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს არსებით გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტზე განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სახდელის სახით ჯარიმის დაკისრებას სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას ხმაურის დასაშვები დონის გადამეტების, ასევე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ხმაურის ზემოქმედების სხვა სანიტარიული წესებისა და ნორმების დარღვევისათვის 1000 ლარის ოდენობით, ხოლო იგივე ქმედების განმეორებით ჩადენისათვის 2000 ლარის ოდენობით, რომელიც მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში. ამასთან, ამ ეტაპზე შეუძლებელია ბიუჯეტზე კანონპროექტის გავლენის ზუსტი ოდენობის დადგენა, ვინაიდან იგი დამოკიდებულია სამართალდარღვევათა რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღებით სახელმწიფო არ კისრულობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ფინანსურ ზეგავლენას სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების გზით იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება. ადმინისტრაციულ სახდელად გათვალისწინებულია ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში 2000 ლარის ოდენობით და სამართალდარღვევის საგნის (ხმაურის წყაროს) კონფისკაციით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი

კანონპროექტი ითვალისწინებს ჯარიმის, როგორც ადმინისტრაციული სახდელის ოდენობას კანონპროექტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის. კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას ხმაურის დასაშვები დონის გადამეტებისთვის, ასევე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ხმაურის ზემოქმედების სხვა სანიტარიული წესებისა და ნორმების დარღვევისთვის 1000 ლარის ოდენობით, ხოლო იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში - 2000 ლარის ოდენობით.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი წერილობითი შეფასებები არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის სამსახური.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.